

ვერსია

3-6 ოქტომბერი, 2015წელი



რას ნიშნავს ევროპასთან უვიზო მიმოსვლა და რას ითხოვს ევროკავშირი ქართველი მეწარმეებისგან ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძესთან

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი. დოკუმენტი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასაც მოიცავს. ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველო კონკრეტულად რა ვალდებულებებს და როგორ ასრულებს? სინამდვილეში, რას მოითხოვს ევროკავშირი საქართველოსგან, რათა ადგილობრივი პროდუქცია ევროპის ბაზრებზე მოხვდეს და რა მითები ახლავს საქართველოს დიდ, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას? „ვერსია“ გათავაზობთ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, დავით ბაქრაძის ექსკლუზიურ ინტერვიუს.

– ბატონო დავით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ რა ვალდებულებები უნდა შეასრულოს?

– რიგი ვალდებულებებია და ეს ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის გზაა. შესაბამისად, ვფიქრობ, საქართველო სწორედ ამ რეფორმების გზით ჩამოყალიბდება ევროპულ სახელმწიფოდ. ამიტომ ასოცირების შეთანხმებას აღვიქვამთ, როგორც ამ რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც ასოცირების შეთანხმება ამოქმედდა, საკმაოდ დიდი მოცულობის რეფორმები გატარადა, მათ შორის სასამართლოს, სასჯელაღსრულების სისტემის, ნარჩენების მართვის, გარემოსდაცვითი, განათლების, კულტურის სფეროებში. ეს რეფორმები ათწლეულების განმავლობაში, ევროპაში დაგროვილი გამოცდილების, საკანონმდებლო თვალსაზრისით, შესაბამისობაში მოყვანასა და პრაქტიკაში მათ განხორციელებას გულისხმობს.

– ევროპასთან ასოცირების შეთანხმება ყველა მიმართულებით საინტერესოა, მაგრამ ეკონომიკისა და ბიზნესის ნაწილში საქართველოს რა ევალეზა?

– საწყის ეტაპზე ეს რეფორმები რამდენად მოცულობითი და მგრძობიარეც უნდა გვეჩვენებოდეს, მნიშვნელოვანი მიზანია ქართული ეკონომიკის მოდერნიზაცია. ეს რეფორმები

ადგილობრივი ქართული წარმოების იმ ხარისხში აყვანას გულისხმობს, რაც ევროპელ მომხმარებელს დააკმაყოფილებს. ჩვენთვის ეს შესაძლებლობაა, ევროპული დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესის, ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მივმართოთ. შესაბამისად, ის თავისუფალი ბაზარი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში გაგვეხსნა, ქართველმა მწარმოებლებმა კარგად უნდა აითვისონ. ამ შემთხვევაში, მცირე და საშუალო ბიზნესზე განსაკუთრებულ აქცენტს იმიტომ ვაკეთებთ, რომ მსხვილ მეწარმეებს წარმოების ის სტანდარტი, რაც ევროპელ მომხმარებელს აკმაყოფილებს, უკვე დანერგილი აქვთ

– მართალია, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად სახელმწიფო სხვადასხვა პროექტს ახორციელებს და ამ მხრივ ევროკავშირიც აქტიურობს, მაგრამ რეფორმა მაინც მტკივნეულია. ახალი სტანდარტების დანერგვისას რა პრობლემები იკვეთება?

– მართალია, „მტკივნეული“ ახსენეთ, მაგრამ ყოველთვის სიტყვა „მგრძნობიარეს“ ვიყენებ, რადგან ამ რეფორმების საბოლოო მიზანი, რაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგს მოიტანს, საკმაოდ პოზიტიურია. იმ ცნობილი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების გარდა, როგორებიცაა „აწარმოე საქართველოში“, „თანადაფინანსების პროექტი“, სოფლის მეურნეობის ფონდი, დაზღვევის შესაბამისი პროგრამები, „დანერგე მომავალი“ და სხვა, ჩვენი ევროპული დახმარების სამი პრიორიტეტიდან, ერთ-ერთი სწორედ სოფლის მეურნეობის, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა. ევროკავშირთან ერთად, ვცდილობთ, მაქსიმალურად დავეხმაროთ მეწარმეებს, რისკი მინიმალური იყოს და მათი პროდუქცია სტაბილურ, ევროპულ ბაზარზე გავიდეს. სტაბილურობისა და მაღალი მსყიდველუნარიანობის თვალსაზრისით, ევროპული ბაზარი მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, საქართველოში წარმოებული პროდუქციის მიმართ ევროპის ინტერესიც დიდია, რადგან იმის პოტენციალი გვაქვს, სუფთა და ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ვაწარმოოთ.

– მთავარი ევროპული პრინციპი სურსათის უსაფრთხოება, ხარისხიანი პროდუქცია და მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რასაც კომპანიები მეტ-ნაკლებად აღიარებენ, მაგრამ ევროკავშირი მეწარმეებისა და ბიზნესმენებისგან კიდევ რას ითხოვს?

– უხეშად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასოცირების ხელმოწერიდან მეოთხე-მეხუთე წელი იქნება. ევროკავშირის მაქსიმალური ხელშეწყობითა და დახმარებით, საქართველოში უკვე ამოქმედდა ფიტოსანიტარული ლაბორატორია. ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშივე, სპეციალური კონცეფციები და პოლიტიკის დოკუმენტებია შემუშავებული, რომლებშიც გაწერილია, თანდათანობით როგორ შემოვიტანოთ ეს რეგულაციები, ისე, რომ ესა თუ ის სეგმენტი არ დაზარალდეს. მნიშვნელოვანია, რომ დღეს აქტიურად ვმუშაობთ საქართველოში თევზის, თაფლის, ასევე მთელი რიგი წარმოებების აღიარების მოპოვებაზე ევროკავშირის მიერ; სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რომელსაც დამატებითი აღიარება არ სჭირდება, სერიოზული წინსვლა აქვს, მათ შორის, თხილის წარმოებაში, რასაც ახლა კვიისა და ლურჯი მოცხარის წარმოებაც დაემატა. დარწმუნებული ვარ, იმ შესაძლებლობას, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცე გვთავაზობს, ჩვენი მეწარმეები ეტაპობრივად აითვისებენ. სურსათის უვნებლობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ხარისხიანი პროდუქციის წარმოება ახსენეთ, ამ ნორმებსა და პრინციპებს მაქსიმალურად

უმტკივნეულოდ, ეტაპობრივად შემოვიტანთ და დავამკვიდრებთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რძის ახალი, ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამოქმედა და რომელიც ქართველი მომხმარებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც მოიხმარენ.

– რძის რეგლამენტამდე, რეგულაცია, თუ როგორ და რა პირობებში უნდა ეწარმოებინათ ყველი, ეს პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე რომ გასულიყო, ყველის წარმოებაზე ამოქმედდა, თუმცა ექსპერტების განცხადებით, ყველის ექსპორტი არ ხორციელდება. უფრო ადრე ნივრის ექსპორტზე, რაოდენობასთან დაკავშირებით, დააწესეს შეზღუდვა თავლიც მცირე რაოდენობით გადის ექსპორტზე. ქართული პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით ევროკავშირის სიფრთხილე რას უკავშირდება?

– ნივრის ექსპორტი ყბადაღებული თემაა, რადგან შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს 220 ტონაზე მეტი ნივრის ექსპორტი სურს. არადა, ნივრის ადგილობრივი წარმოება იმდენად დაბალია, შიდამოხმარებას ვერ აკმაყოფილებს და საქართველოში ნივრის იმპორტი ხორციელდება. ევროკავშირში შეზღუდვა არცერთი პროდუქციის ექსპორტზე არ მოქმედებს, გარდა ევროპული სტანდარტისა, რომელიც ქართულმა საექსპორტო პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს, რათა ევროპის ქვეყნების ბაზრებზე მოხვდეს. მეტიც, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ექსპორტი გაიზარდა და საქართველოს ექსპორტის 31% სწორედ ევროკავშირზე მოდის, რაც ამ დროისთვის, საკმაოდ მაღალი და რეკორდული მაჩვენებელია. ევროკავშირის მისია საქართველოში, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტროები ყველაფერს აკეთებენ, რათა მაქსიმალურად დაეხმაროს მწარმოებლებს, ევროკავშირის ბაზარი და თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, ეფექტურად გამოიყენონ.

– რა რაოდენობის ქართული ღვინო გადის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში და თქვენი აზრით, საქართველოში მევენახეობის დარგის განსავითარებლად, ექსპორტის ეს მოცულობა საკმარისია?

– ნებისმიერი დარგის განსავითარებლად და ზოგადად, ექსპორტისთვის, მნიშვნელოვანია დივერსიფიცირება, რათა ერთ, კონკრეტულ მიმართულებაზე არ ვიყოთ დამოკიდებულნი. ის პოლიტიკური წარსული სულ რომ დავივიწყოთ, როცა ქართული პროდუქციის რუსეთში შეტანა შეიზღუდა, ვხედავთ, რომ რუსეთის ფედერაციაში ქართული პროდუქციის ექსპორტი განახევრებულია.

სწორედ იმ ბაზრებზე, რომლებიც აქამდე კარგად ათვისებული არ ყოფილა, ექსპორტში მატება გვაქვს. ჩინეთსა და იაპონიაში, 23 და 21%-იანი მატებაა, კანადაში – 159%- იანი ზრდა, აშშ-ში კი 61%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ევროპის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი სტაბილურია და იზრდება. შესაბამისად, ჩვენი მთავარი ამოცანაა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება განვახორციელოთ, რათა ერთ, კონკრეტულ ბაზარზე არ ვიყოთ დამოკიდებულები.

შესაძლოა, ქართული პროდუქციის მთავარი მომხმარებელი რუსეთის ბაზარი ყოფილიყო, მაგრამ იქ შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, საქართველოს მთავრობა თავის წილ პასუხისმგებლობას ამჟღავნებს მევენახეების მიმართ. ეს პასუხისმგებლობა კი მხოლოდ

ყურძნის სუბსიდირებაში კი არა, ახალი ბაზრების ათვისებაშიც გამოიხატება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, სუბსიდირება საჭირო აღარ იყოს და მევენახეებს ამ ბაზრების ათვისების შესაძლებლობა მიეცეთ.

– ბატონო დავით, სექტემბრის შუა რიცხვებში, თქვენი ინიციატივით, საქართველოს რამდენიმე რეგიონში კონფერენცია – „მითები და რეალობა ევროინტეგრაციის შესახებ“ გაიმართა. ხშირად, ამა თუ იმ რეგულაციის ამოქმედებას ან შეზღუდვის დაწესებას ევროკავშირის მოთხოვნით ხსნიან... განმარტეთ, რა არის მითი და რა – რეალობა?

– მთავარი მითების იდენტიფიცირება ჩვენს მიერ ჩატარებული შიდა კვლევის საფუძველზე განვახორციელებთ, რასაც ანტიდასავლურ ნარატივში ვხვდებით. ეს ზუსტად ის არის, თითქოს საქართველოს არ სჭირდება ის რეგულაციები, რასაც საკუთარ მოსახლეობას უწესებს. არადა, საპირისპირო სიტუაციაა, რადგან ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტისთვის ის შესაძლებლობები გაიხსნას, რაც ევროპის ბაზრებს ახასიათებთ. ევროკავშირი ჩვენს მწარმოებლებს ეხმარება, რომ განვითარდნენ და ევროპული ბაზრის დაკმაყოფილება შეძლონ. ხშირად ვხვდებით მითს, რომ საქართველოს ისტორიულკულტურული მემკვიდრეობა და ჩვენი ქვეყნის ღირებულებები თავსებადია თუ არა ევროპასთან. რეალურად, ევროკავშირის მთავარი სიმდიდრე სწორედ მის მრავალფეროვნებაშია, რადგან ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის, ასევე ენის დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტი და ტრადიცია სწორედ ევროპაშია. ევროკავშირს 24 ოფიციალური ენა აქვს, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა, არავის ეხალისება თითოეული დოკუმენტის 24 ენაზე თარგმნა, მაგრამ მნიშვნელოვანია, თითოეული ენა **დაცული იყოს.**

ის, რითიც ვამაყოფთ – ჩვენი კულტურა, ისტორია და რელიგია, ყველაზე მეტად დაცული სწორედ ევროპულ ოჯახში იქნება. ჩვენი მიზანი სწორედ ამიტომაც ევროპული ინტეგრაცია.

– ვიდრე სახელმწიფო მინისტრად დაინიშნებოდით, საბერძნეთში საქართველოს ელჩი იყავით, ამ ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისი საქართველოზეც აისახა – ზაფხულში ფულადი გადმორიცხვები და ამანათების რაოდენობა შემცირდა. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ აფასებთ საბერძნეთში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას?

– საბერძნეთი ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში მრავალი კუთხით აღმოჩნდა, ეკონომიკური კრიზისი კი 2009 წლიდან დაიწყო. გარდა ამისა, არალეგალური მიგრაციის შედინების თვალსაზრისით, ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე სწორედ საბერძნეთია, სადაც ათობით ათასი კუნძულია, საიდანაც არალეგალი მიგრანტები გემებითა და ნავებით ევროკავშირში უკანონოდ შეღწევას ცდილობდნენ. ამიტომ ეს პროცესები საბერძნეთზე და, შესაბამისად, ქართულ ემიგრაციაზეც მტკივნეულად აისახა. დაუზუსტებელი მონაცემებით, საბერძნეთში საქართველოს 150 000-ზე მეტი მოქალაქეა, ხშირად ერთი ემიგრანტი საქართველოში, საშუალოდ, 2-3 ოჯახს ეხმარება, თუმცა კრიზისის მიუხედავად, ევროკავშირი სწორედ ის გაერთიანებაა, რომელმაც საბერძნეთის პრობლემის მოგვარება შეძლო და იმ რეფორმებს, რაც ამ ქვეყანას პოლიტიკურ- ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანს, აგრძელებს... ვხედავთ, რომ ეკონომიკური რეცესიიდან, საბერძნეთი ნელ-ნელა სტაბილურ რეჟიმზე გადადის. ძალა რომ ერთობაშია, ეს ევროკავშირის დამოკიდებულებაში კარგად გამოჩნდა – რეფორმების

სისწორეში სწორედ ის მთავრობა დაარწმუნა, რომელიც ამ რეფორმების წინააღმდეგი იყო. იმედი მაქვს, საბერძნეთი და მთლიანად ევროკავშირი ამ კრიზისს გადალახავს.

– ევროკავშირთან ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა და საინფორმაციო კამპანიაც გაააქტიურა.

28 **სექტემბერს, საქართველოს ევროკავშირის შემფასებელი მისია ეწვია, ჩვენი ქვეყნის მიერ განხორციელებული ღონისძიებები რომ შეეფასებინა, მისია ვრცელ ანგარიშს დეკემბერში გამოაქვეყნებს, მაგრამ საინტერესოა, რა შთაბეჭდილებები შეექმნათ მისიის წევრებს ან რამდენად პოზიტიურ ანგარიშს მოამზადებენ?**

– შემფასებელი მისია რამდენიმე მიმართულებას შეისწავლის – საჯარო სისტემის რეფორმირებას, რაც უკვე წარვადგინეთ და გავაცანით, მიგრაციის მართვასა და თავშესაფრების საკითხს. ერთი მხრივ, ევროკავშირის შემფასებელი მისია აკვირდება, რამდენად განხორციელდა ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, მეორე მხრივ – რამდენად ეფექტურია ეს ცვლილებები პრაქტიკაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ინფორმირება, რას გულისხმობს ვიზა-ლიბერალიზაცია. მთავარია, საზოგადოებამ გაიგოს, ეს არაა უკონტროლო, არარეგულირებული მიგრაციის ხელშემწყობი საშუალება, პირიქით, თავის ჩარჩო და ნორმები აქვს, რომელთა დარღვევით ადამიანი საკუთარ გადაადგილებას საფრთხეს შეუქმნის. იმედი გვაქვს, დეკემბრის შუა რიცხვებში მისიის საბოლოო მოხსენება პოზიტიური იქნება. ეს ანგარიში მოგვცემს დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც, საქართველო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. მნიშვნელოვანია, ვიზა-ლიბერალიზაციით, არარეგულირებულ მიგრაციას რეგულირებული მიგრაცია, უკონტროლო მოქმედებებს კი რეფორმები უნდა დავუპირისპიროთ. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომელთა მთავრობები რეფორმებს განახორციელებენ და ისეთ მაღალ სტანდარტს დააკმაყოფილებენ, რომელიც ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, თავისუფალი გადაადგილების უფლებას მიიღებენ. დარწმუნებული ვარ, ეს ის გზავნილია, რომლის გაგონებასაც, მათ შორის, ევროკავშირშიც ყველა ელის.

– მიუხედავად იმისა, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით კარგი საინფორმაციო კამპანია გქონდათ, საზოგადოების დიდ ნაწილში გავრცელებულია მითი – როგორც კი უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, მეორე დღესვე, მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო მაინც ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში გაემგზავრება, თანაც განუსაზღვრელი ვადით და მუშაობის უფლებით. **ევროპასთან უვიზო მიმოსვლა სინამდვილეში რას ნიშნავს?**

– საზოგადოება მართლაც ფიქრობს, რომ როგორც კი უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, ნახევარი საქართველო ევროპაში გაემგზავრება. უვიზო მიმოსვლის მთავარი ხიბლი ისაა, რომ ადამიანს შეუძლია, წავიდეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ იქ მხოლოდ 90 დღეს დაჰყოფს. რა თქმა უნდა, უვიზო მიმოსვლის პრინციპი არ უნდა დაარღვიოს და სამშობლოში დაბრუნდეს. აშშ-მ ვიზის გაცემის ახალი პრინციპი შემოიღო და ყველას 10-წლიან ვიზას აძლევს, რათა ცდუნება არ წაახალისოს და ეს ადამიანი ქვეყანაში უკანონოდ არ დარჩეს. უვიზო რეჟიმის დროს, ეს პრინციპი აუცილებლად იმუშავებს, რადგან ვიდრე დაარღვევს, ადამიანი ორჯერ დაფიქრდება, ამას რა შეიძლება მოჰყვეს. უვიზო მიმოსვლა საზღვარგარეთ სწავლისა და მუშაობის უფლებას არ იძლევა, მაგრამ ამ 90 დღის განმავლობაში, ადამიანს შეუძლია, სასწავლებელი მოძებნოს, შემდეგ

დაბრუნდეს საქართველოში, მიწვევა მიიღოს და ლეგალურად გაემგზავროს. იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ ბიზნესპარტნიორის მოძებნა სურს, სამი თვე საკმარისია, მაგრამ თუ 90 დღეში ბიზნესპარტნიორს ვერ მოძებნის, ქვეყანაში უკანონოდ დარჩენას რა აზრი აქვს? რაც მთავარია, საქართველოს მოქალაქეების საკმაოდ დიდი რაოდენობა არალეგალურად ცხოვრობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში დაბრუნება გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა და დაბრუნების შემდეგ ისევ უცხოეთში გამგზავრება ბუნდოვანი იყო, მათ 10-15 წლის მანძილზე არ დაუტოვებიათ მიმღები ქვეყანა. უვიზო მიმოსვლის პირობებში, ამ ადამიანებს საშუალება ეძლევათ, სამშობლოში თავისუფლად დაბრუნდნენ და შესაძლოა, უვიზო მიმოსვლა დაბრუნების ხელშემწყობი ერთგვარი ღონისძიებაც კი იყოს. ზოგადად, უვიზო მიმოსვლის შემთხვევაში, ქაოტურ მოქმედებებს არ ველი, მით უმეტეს, ამ მხრივ, მოლდოვას მაგალითიც გვაქვს, სადაც არალეგალური მიგრაციის ძალიან დაბალი პროცენტია.

– საქართველოს მთავრობის კურსი ანუ ევროპასა და ჩდილოატლანტიკურ ალიანსთან ინტეგრაცია, პოტენციური ინვესტორებისთვის პოზიტიური სიგნალია, მაგრამ ბოლო დროს, ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა. როგორ ფიქრობთ, უცხოელი ინვესტორები რას ან რატომ უფრთხიან?

– რეგიონში არსებული არასახარბიელო და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, საიდანაც ინვესტიციები პოტენციურად უნდა მოდიოდეს, შარშან 81%-იანი ზრდა გვქონდა. 2015 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ქვეყანაში ინვესტიციები დივერსიფიცირებულადაა გადანაწილებული სექტორებზე, მათ შორის, ენერჯეტიკაში, კავშირგაბმულობაში, სამშენებლო სექტორში, ინფრასტრუქტურასა და სოფლის მეურნეობაში. ინვესტიციების ასეთი თანაბარი გადანაწილება კი მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ამდენად, ვერ დაგეთანხმებით, რადგან ვფიქრობ, ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდა. მალე, მნიშვნელოვან „აბრეშუმის გზის“ ფორუმს ველით, რომლის ფარგლებშიც, აბრეშუმის გზის ქვეყნებიდან ჩამოსულ მნიშვნელოვან დელეგაციებს ვუმასპინძლებთ სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში ინვესტორები მოვიზიდოთ, პარალელურად, ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებაზე ვმუშაობთ, რაც უკვე გვაქვს თურქეთთან, დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან. ჩინეთის გარდა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებაზე ევროპის იმ ქვეყნებთანაც ვმუშაობთ, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან, მათ შორის, შვეიცარიასთან, ისლანდიასა და ნორვეგიასთან. კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ინვესტიციების რიცხვებში გამოხატული ტენდენციაც პოზიტიურია და ვფიქრობ, უკეთეს შედეგებს უნდა ველოდეთ. მაია მიშელაძე